



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო**



KA020120884572422

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 1300/ს

15 / ნოემბერი / 2022 წ.

ფ/პ თეიმურაზ მოსიავაზე (პ/ნ 53001008157) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005485 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის წიაღის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 17 მაისის N 646/ს ბრძანების საფუძველზე, ფ/პ თეიმურაზ მოსიავაზე გაცემულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005485 ლიცენზია (25 წლის ვადით) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიტირის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამენარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 13 ოქტომბრის N2047 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დასტურდება ფ/პ თეიმურაზ მოსიავას გარდაცვალების ფაქტი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.ა“ პუნქტის საფუძველზე, გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების პროცედურების გატარებამდე, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ფ/პ თეიმურაზ მოსიავას მემკვიდრის დადგენის მიზნით.

სააგენტოს 2020 წლის 16 ივნისის N 22/3623 კორესპონდენციით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ფ/პ თეიმურაზ მოსიავას გარდაცვალების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 18 ივნისის N01/100645 წერილით, დადასტურდა თეიმურაზ მოსიავას გარდაცვალების ფაქტი. კერძოდ, თეიმურაზ მოსიავას (პ/ნ 53001008157) სახელზე 2018 წლის 04 ივნისს რეგისტრირებულია გარდაცვალების N68187001574 აქტის ჩანაწერი. აღნიშნული პირის გარდაცვალების თარიღია 2018 წლის 03 ივნისი.

სააგენტოს 2021 წლის 05 ივლისის N 22/4132 კორესპონდენციით საქართველოს ნოტარიუსთა პალატასაგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ფ/პ თეიმურაზ მოსიავას მემკვიდრის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული კორესპონდენციის პასუხად საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2021 წლის 13 ივლისს N 16/8213 კორესპონდენციით სააგენტოს ეცნობა, რომ ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში რეგისტრირებულია ჩანაწერი 2018 წლის 3 ივნისს გარდაცვლილი თეიმურაზ მოსიავას [პირადი #53001008157] სამემკვიდრეო საქმისწარმოების განხორციელების თაობაზე, კერძოდ: - ნოტარიუს მ. ჭიხვაშვილის მიერ 2019 წლის 15 მარტს დამოწმებულია სამკვიდრო მონშობა [რეესტრი #190281819].

2021 წლის 24 დეკემბერს სააგენტომ N 22/8739 კორესპონდენციით მიმართა ნოტარიუს მერაბ ჭიხვაშვილს თეიმურაზ მოსიავას მემკვიდრის მოძიების მიზნით, რათა დადგენილიყო მისი მხრიდან ლიცენზიის მიღების, ან მისი გაუქმების ინტერესის არსებობა. ზემოაღნიშნული წერილის პასუხად 2021 წლის 30 დეკემბრის N 0100 წერილით, გაცემულია სამკვიდრო მონშობა 2018 წლის 3 ივნისს გარდაცვლილ თეიმურაზ მოსიავას კანონიესმიერ მემკვიდრე - შვილებზე ვასილი მოსიავასა და გიორგი მოსიავაზე.

სააგენტოს 2022 წლის 14 იანვრის N22/81 წერილით, ფ/პ თეიმურაზ მოსიავას მემკვიდრეებს ვასილი მოსიავასა და გიორგი მოსიავას განემართათ, რომ მათ აქვთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის, მემკვიდრეობის გზით მიღების უფლება. მათ განესაზღვრათ 10 საშუალო დღე, სააგენტოში გამოცხადებისა და ლიცენზიასთან დაკავშირებული მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

ზემოაღნიშნული წერილი გაგზავნილ იქნა სააგენტოში არსებულ მისამართზე და ჩაბარებულ იქნა 2022 წლის 20 იანვარს, თუმცა წერილის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მემკვიდრეები არ გამოცხადებულან სააგენტოში, უფრო მეტიც, დღეის მდგომარეობითაც, მათ არ მოუმართავთ სააგენტოსთვის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით მიღების მოთხოვნით.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი, ფ/პ თეიმურაზ მოსიავაზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით გადაცემის მიზნით, თუმცა მემკვიდრეების მხრიდან ინტერესი არ იქნა გამოვლენილი.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7⁵ მუხლის 1² პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 17 მაისის N 646/ს ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ფ/პ თეიმურაზ მოსიავაზე გაცემული N1005485 ლიცენზია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიტირის ტერიტორიაზე, მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამენარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტრონულად 

ანდრო ასლანიშვილი